

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭაყაიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„ 26 “ 12 ----- “ 2014 წელი

ეგზ. № 2

თიანეთის მუნიციპალიტეტის 2011-2013 წლების
საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

აქტ 49/00

2014 წელი

შინაარსი

აუდიტის მიზანი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
თიანეთის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა.....	4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	8
საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანების შესრულება8	
ჯანდაცვის ობიექტის სარემონტო სამუშაოები	10
დაბა თიანეთისა და სოფელ ჟებოტის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.....	13
სოფელ ცხვარიჭამიასა და სოფელ ღულულებს შორის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.....	15
რეაბილიტირების შემდგომ ჟებოტას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები.....	17
სოფელ საყდრიონის სპორტული დარბაზის მშენებლობა	17
სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის გადაცემული შიფერი.....	18
სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია.....	19
ხის სახერხი დაზგის შეძენა-მონტაჟი	19
სატრანსპორტო საშუალების შესყიდვა.....	20
წიკვლიანთკარის წყალსადენის სათავე ნაგებობის სამუშაოები	21
სოფელ მაგრანეთის წყალი.....	21
ზარიძეების თემში ძველი წყლის სისტემის შეცვალა ახლით	22
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა.....	22
სავარაუდო ღირებულების გაანგარიშების ხარვეზები	22
№ 52 სპორტული დარბაზი	23
შპს „რაგოს“ და შპს „ეფექტის“ ურთიერთკავშირი.....	23
წარმომადგენლობითი ხარჯები	24
სხვადასხვა ხარჯები	25
აუდიტის დასკვნა	25
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	25
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	25

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია:

- ✓ აუდიტის ობიექტის მიერ 2011-2013 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.
- ✓ მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების ეკონომიურობისა და მართლზომიერების შეფასება.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ გაწეული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები საჯარო არ გახადოს აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც, მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

თიანეთის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

თიანეთის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

თიანეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 2 დაბა და 81 სოფელი. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 13.1 ათას კაცს.¹

თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულია და ფუნქციონირებს 6 ა(ა)იპ და 2 - შპს.

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა.

ბიუჯეტი

2011-2013 წლებში თიანეთის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 13962.2 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა - 13809.0 ათასი ლარი. სხვაობა დაბალანსებულია ნაშთის ცვლილებით.


¹Nala.ge

ცხრილი1: 2011-2013 წლების საბიუჯეტო შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (ათასი ლარი)

დასახელება	2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	ჯამი
შემოსულობები	3099.5	7070.0	3792.7	13962.2
შემოსავლები	3036.4	7037.9	3772.9	13847.2
არაფინანსური აქტივების კლება	63,1	32.1	19.8	115.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	2969.6	6706.9	4132.5	13809.0
ხარჯები	2083.6	4040.9	2810.8	8935.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	886	2666.0	1321.7	4873.7
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოყენების გარდა)	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	129.9	363.1	-339.8	153.2

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შემოსულობების ნაწილში 2011-2013 წლებში შეადგინა: 2011 წელს - 3099.5 ათასი ლარი, 2012 წელს - 7 070.0 ათასი ლარი და 2013 წელს - 3 792.7 ათასი ლარი. შემოსულობების 99,2% უჭირავს შემოსავლებს, ხოლო 0,8% - არაფინანსური აქტივების კლებას.


დიაგრამა1: 2011-2013 წლების შემოსავლები (ათასი ლარი)



წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, შემოსავლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2012 წელს, რაც გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტების მოცულობით. სპეციალური ტრანსფერის სახით, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 4 709.5 ათასი ლარი, რაც 2011 წლის მაჩვენებელზე 3 757.0 ათასი ლარით, ხოლო 2013 წლის მაჩვენებელზე - 3 471.7 ათასი ლარით მეტია.

თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გადასახდელების ნაწილში 2011-2013 წლებში შეადგინა: 2011 წელს - 2969.6 ათასი ლარი, 2012 წელს - 6 706.9 ათასი ლარი; 2013 წელს - 4 132.5 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების მიხედვით, 2011-2013 წლებში გადასახდელების 65% მოდის ხარჯებზე, ხოლო 35% - არაფინანსური აქტივების ზრდაზე.

დიაგრამა2: 2011-2013 წლების ხარჯები (ათასი ლარი)




წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2012 წელს ხარჯების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა „სხვა ხარჯების“ მუხლში (1 887.4 ათასი ლარი), რაც 2011 წლის მონაცემებს - 1 716.2 ათასი ლარით, ხოლო 2013 წლის მონაცემს - 1695.7 ათასი ლარით აღემატება. ზრდის ტენდენციით ხასიათდება „შრომის ანაზღაურების“ მუხლი, რომელმაც 2013 წელს მაქსიმალურ მაჩვენებელს - 1 213.9 ათას ლარს მიაღწია. მუნიციპალიტეტის მიერ „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯი 2011 წელს მთლიანი გადასახდელების 24%-ს შეადგენს, 2012 წელს - 13%-ს, ხოლო 2013 წელს - 29%-ს.

თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის მაჩვენებელმა 2012 წელს 2 666.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 50%-ით, ხოლო 2011 წლის მაჩვენებელზე - 67%-ით მეტია.

თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2011-2013 წლებში წარმოდგენილია ჯამური მაჩვენებლებით:

დიაგრამა3: ხარჯებისა და არფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2011-2013 წწ. (ათასი ლარი)



2011-2013 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 32% მოდის ეკონომიკურ საქმიანობაზე, შემდეგ მოდის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 26% და საბინაო კომუნალური მეურნეობა - 20 %.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანების შესრულება

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანების - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“- თანახმად,

სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს, მიმწოდებელზე თანხის ანაზღაურება უნდა მოხდეს ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. ამასთანავე, ნაქირავებ მანქანა-მექანიზმებს არ უნდა დაერიცხოს ზედნადები ხარჯები და გეგმური დაგროვება. თიანეთის მუნიციპალიტეტმა 2012 წლის ივლისიდან წლის ბოლომდე, სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გააფორმა 55 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 3 232.1 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 100 ხელშეკრულება, ღირებულებით 881.2 ათასი ლარი.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტი გამარტივებული წესით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას არ ითვალისწინებდა აღნიშნული ბრძანების მოთხოვნებს.

თიანეთის მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, შემსრულებლებისგან მოითხოვა შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც მხოლოდ რამდენიმე მიმწოდებელმა წარმოადგინა. აუდიტის ჯგუფისთვის მიწოდებული დოკუმენტებიდან ძირითადად ვერ მოხერხდა შემსრულებლების მიერ გაწეული ფაქტობრივი ხარჯის გაანგარიშება, რადგან წარმოდგენილი ინფორმაცია არ იძლევა კონკრეტულ სამუშაოებზე გაწეული ხარჯების იდენტიფიცირების საშუალებას. ასევე გამგეობამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია მიმწოდებლების მიერ დაქირავებული მანქანა-მექანიზმების შესახებ. შედეგად, ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ, თუ რამდენად კანონშესაბამისად განხორციელდა შემსრულებლებზე თანხის ანაზღაურება.

მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის ჯგუფს სრულყოფილად ვერ მიეწოდა მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მასალების შესწავლისას მაინც გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მუნიციპალიტეტს თანხები სავარაუდოდ ზედმეტად აქვს ანაზღაურებული. კერძოდ:

- ყოფილი საავადმყოფოს სარემონტო სამუშაოებისა და დაბა თიანეთისა და სოფელ ჟებოტას შორის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისას გამგეობას მიმწოდებლისათვის მასალების ღირებულების სახით სავარაუდოდ დაუსაბუთებლად აქვს გადახდილი 141.0 ათასი ლარი.²
- 2013 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული გზის მოხრეშვითი სამუშაოების შესასრულებლად, 8 შემთხვევაში მიმწოდებლებს ტექნიკის დაქირავების მიზნით ხელშეკრულებები გაფორმებული აქვთ შპს „თიანეთის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურთან“³. ნაქირავებ მანქანა-მექანიზმებზე დარიცხულია ზედნადები ხარჯები და გეგმური დაგროვება. შედეგად, მუნიციპალიტეტმა აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში ზედმეტად აანაზღაურა დაახლოებით 1.1 ათასი ლარი.

ჯანდაცვის ობიექტის სარემონტო სამუშაოები

2012 წელს თიანეთის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა ბინები გადაეცა შეჭირვებული მოსახლეობისათვის, რომელიც საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფილი არ იყო. მიზნის მისაღწევად დაიგეგმა ყოფილი ჯანდაცვის ცენტრის შენობის რეაბილიტაცია და ბიუჯეტიდან გამოიყო 300 ათასი ლარი⁴.

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, საბოლოო მიზნის მისაღწევად, სამუშაოების დაგეგმვის ეტაპზე მუნიციპალიტეტს მინიმუმ უნდა გაეთვალისწინებინა შემდეგი არსებითი გარემოებები:

² აღნიშნული შესყიდვების ფარგლებში გამოვლენილი კონკრეტული გარემოებები ანგარიშის შესაბამის თავებშია განხილული.

³ თიანეთის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული.

⁴ სამუშაოების ღირებულება - 294 ათასი ლარი, ხარჯთაღრიცხვის ღირებულება - 3 ათასი ლარი და ექსპერტიზის ღირებულება - 3 ათასი ლარი.

1. რამდენად ფლობდა გამგეობა საკმარის ინფორმაციას იმ ოჯახების რაოდენობაზე, რომელთაც რეალურად ესაჭიროებოდათ საცხოვრებელი ფართობი.
2. რამდენად ოპტიმალური იქნებოდა 9.0 ათასი კვ.მ ფართობის მქონე შენობის რეაბილიტაცია აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად.
3. ტექნიკურად რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ყოფილი ჯანდაცვის ცენტრის შენობის საცხოვრებლად გამოყენება.

საკითხის შესწავლის პროცესში, გამგეობამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რითაც დაადასტურებდა, რომ მუნიციპალიტეტს დათვლილი და შესწავლილი ჰქონდა იმ ოჯახების შესაძლო ოდენობა, რომელთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფასაც გეგმავდა. შედეგად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმის შესახებ, მუნიციპალიტეტს სათანადოდ ჰქონდა თუ არა შესწავლილი აღნიშნული მასშტაბის შენობის საჭიროება დასახული მიზნის მისაღწევად. რაც შეეხება ტექნიკურ პირობებს, როგორც ირკვევა, რეაბილიტირებული ობიექტი დღეის მდგომარეობით საცხოვრებლად ვარგისი არ არის, რადგან პასუხისმგებელი პირის განმარტებით, შენობის კანალიზაციის სისტემაზე დაერთება ვერ მოხერხდა.

მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმვის ეტაპზე მუნიციპალიტეტს სათანადოდ არ ჰქონდა გათვალისწინებული ყველა ის გარემოება, რაც შეიძლებოდა მომავალში ხელისშემშლელი ყოფილიყო მიზნის მისაღწევად, მაინც დაიგეგმა ყოფილი ჯანდაცვის ცენტრის რეაბილიტაცია. აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად 2012 წლის 30 ივლისს გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმდა ხელშეკრულება⁵ შპს „ნოდოსთან“ - ღირებულებით 294.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში

⁵ ხელშეკრულება № 83/9.

მუნიციპალიტეტს მიმწოდებლისთვის ანაზღაურება უნდა განეხორციელებინა ფაქტობრივი დანახარჯების გათვალისწინებით, მაგრამ პირობა არ შეუსრულებია.

აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, შპს „ნოდომ“ გამგეობას წარუდგინა სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო მასალების ფაქტობრივი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის, ქვეკონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულება და ფორმა №2-ები. მოწოდებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე გარემოება, როდესაც მუნიციპალიტეტის მიერ თანხები სავარაუდოდ ზედმეტადაა ანაზღაურებული. კერძოდ:

- მთლიანი სამუშაოების დაახლოებით 70%-ის⁶ შესასრულებლად მიმწოდებელმა დაიქირავა ქვეკონტრაქტორი - შპს „ვერტიკალი“, რომელმაც მშენებლობა შეასრულა 33 ათასი ლარით უფრო ნაკლებ ფასად, ვიდრე მუნიციპალიტეტმა აუნაზღაურა შპს „ნოდოს“.
- სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს, ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს (პირდაპირ დანახარჯებს) ზედნადები ხარჯები და გეგმური დაგროვება უნდა დაერიცხოს მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტების ფარგლებში. ხელშეკრულების მიხედვით, მუნიციპალიტეტს ზედნადები ხარჯებისა და გეგმური დაგროვების სახით უნდა ანაზღაურებოდა 19.2 ათასი ლარი, ხოლო ქვეკონტრაქტორისა და მიმწოდებლის ზედნადებმა ხარჯებმა და გეგმურმა დაგროვებამ ჯამში შეადგინა 35.0 ათასი ლარი. შედეგად, ხელშეკრულების ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ დაახლოებით 15.8 ათასი ლარი ზედმეტადაა ანაზღაურებული.

⁶ მუნიციპალიტეტსა და შპს „ნოდოს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების ღირებულების 70% შეადგენს 205.7 ათას ლარს.

- მიმწოდებელმა ვერ წარმოადგინა ხარაჩოების მოსაწყობად საჭირო ხის მასალის ფაქტობრივი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ფორმა №2-ში დაფიქსირებული 24.4 ათასი ლარის მასალის შესყიდვაზე.
- მიმწოდებელსაც და ქვეკონტრაქტორსაც შესრულებულ სამუშაოებზე ცალ-ცალკე აქვთ დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რის გამოც მუნიციპალიტეტმა ერთსა და იმავე სამუშაოებზე დღგ-ის თანხა ორჯერ გადაიხდა. შედეგად, ზედმეტად ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 30.1 ათასი ლარი.

იმის გათვალისწინებით, რომ მიმწოდებელს არ აქვს გამიჯნული ჯანდაცვის ობიექტის რეაბილიტაციასა და მის მიერ შესრულებულ სხვა სამუშაოებზე გაწეული შრომის ანაზღაურების ხარჯები, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება, თუ რამდენად რეალურადაა ასახული ფორმა №2-ში მიმწოდებლის მიერ მომუშავეთა ხელფასის პუნქტში დაფიქსირებული თანხები.

დაბა თიანეთისა და სოფელ ჟებოტის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

2012 წლის აგვისტოში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თიანეთის მუნიციპალიტეტმა შპს „გზამშენი 2005“-ისაგან შეისყიდა დაბა თიანეთისა და სოფელ ჟებოტის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 407.7 ათასი ლარი. მიმწოდებელმა, აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, გამგეობას წარუდგინა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ხრეშის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შპს „გზამშენი 2005“-ის ხრეშის ფაქტობრივი შესყიდვის დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- მიმწოდებელს სამუშაოს შესრულების აქტებში დაფიქსირებული აქვს 1.3 ათასი კუბ.მ ქვიშახრეშოვანი ნარევის დაყრა, მაშინ როდესაც სასაქონლო ზედნადებების მიხედვით დასტურდება მხოლოდ 1.1 ათასი კუბ.მ ხრეშის შესყიდვა.
- წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებების მიხედვით, მიმწოდებელს 1 კუბ.მ ინერტულ მასალაში გადახდილი აქვს 1.8 ლარი მაშინ, როდესაც მუნიციპალიტეტს ანაზღაურებული აქვს 15.49 ლარი და 17.43 ლარი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შპს „გზამშენი 2005“-ს ხრეშის ღირებულების სახით უნდა ანაზღაურებოდა 2.5 ათასი ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტისგან მიღებული აქვს 28.6 ათასი ლარი. შედეგად, მიმწოდებელზე 26.1 ათასი ლარი, სავარაუდოდ, დაუსაბუთებლად ანაზღაურებული.

თიანეთი-ჟებოტას დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე შპს „გზამშენი 2005“-მა წარმოადგინა 452 კუბ.მ 40 მმ-იანი ფრაქციული ღორღის შიდა გადაზიდვის დოკუმენტი, სადაც დაფიქსირებული არ არის ღორღის ღირებულება. შპს-ის მიერ წარმოდგენილ მხოლოდ ერთ ზედნადებში ფიქსირდება ფრაქციული ღორღის ღირებულება - 15 ლარი. ამ ფასის გათვალისწინებით, მიმწოდებელს სავარაუდოდ, შესყიდული მასალის ღირებულების სახით უნდა ანაზღაურებოდა 8.8 ათასი ლარი, ხოლო ფორმა №2-ების მიხედვით, მას აუნაზღაურდა 53.4 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 44.6 ათას ლარს, რაც მუნიციპალიტეტის მიერ სავარაუდოდ ზედმეტადაა ანაზღაურებული.

იმის გათვალისწინებით, რომ მიმწოდებელს არ აქვს გამიჯნული თიანეთი-ჟებოტას რეაბილიტაციასა და მის მიერ შესრულებულ სხვა სამუშაოებზე გაწეული შრომის ანაზღაურების და მანქანა-მექანიზმების ხარჯები, აუდიტის ჯგუფმა ვერ

მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება, რამდენად რეალურადაა ასახული ფორმა №2-ში მიმწოდებლის მიერ „ხელფასის“ პუნქტში დაფიქსირებული თანხები. ასევე მიმწოდებელს აქვს საკუთარი ასფალტის ქარხანა, საიდანაც მუნიციპალიტეტს აწვდის ასფალტბეტონს. შესაბამისად, ვერ მოხერხდა ფორმა №2-ში დაფიქსირებული ასფალტის ღირებულების რეალობის დადგენა.

სოფელ ცხვარიჭამიასა და სოფელ ღულულებს შორის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

თიანეთის მუნიციპალიტეტმა 2012 წელს გამარტივებული წესით შპს „ნიუ-ენერჯისტან“ გააფორმა ხელშეკრულება ღირებულებით 1 373.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელს უნდა განეხორციელებინა ცხვარიჭამია-ღულულების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. აღსანიშნავია, რომ გამგეობამ ხელშეკრულება გააფორმა სავარაუდო ღირებულების ცოდნის გარეშე, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ საპროექტო ფირმასთან და მიმწოდებელთან ხელშეკრულებები ერთსა და იმავე დღესაა გაფორმებული.

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ცხვარიჭამია-ღულულების შემაერთებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება არ იყოს სათანადოდ დათვლილი. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით⁷, სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოყენებული 1 კუბ.მ ქვიშახრეშოვანი ნარევის საბაზრო ფასი, სავარაუდოდ შეადგენდა 1.8 ლარს, ხოლო შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვისა და შესაბამისად, ფორმა №2-ის მიხედვით მიმწოდებელს აუნაზღაურდა 12 ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში, ხრეშის ღირებულებაში, 1.8

⁷ კარიერიდან მიღებული ინფორმაციისა და იმავე პერიოდში ანალოგიური სამუშაოების ერთ-ერთი მიმწოდებლის - შპს „გზაშენი 2005“-ის ფაქტობრივი შესყიდვის დოკუმენტაციის გათვალისწინებით.

ლარის გათვალისწინების შემთხვევაში, სავარაუდოდ შესაძლებელი იყო სამუშაოების 44.8 ათასი ლარით ნაკლებად შესრულება.

იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულება გაფორმებულია 2012 წლის 30 ივლისს, სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება უნდა მომხდარიყო მიმწოდებლის მიერ გაწეული ფაქტობრივი ხარჯის გათვალისწინებით, რაც არ განხორციელებულა. თუ მხედველობაში მივიღებთ ფორმა №2-ებში დაფიქსირებული ხრემის ღირებულების სხვაობას საბაზრო ფასთან შედარებით, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სამუშაოების ღირებულების ზედმეტად ანაზღაურებას როგორც მოხრეშვის, ასევე ხარჯთაღრიცხვის დანარჩენ მუხლებშიც.

2012 წლის ივლისის თვიდან 2013 წლის ბოლომდე, თიანეთის მუნიციპალიტეტს, სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად გამარტივებული წესით მთლიანობაში გაფორმებული აქვს 155 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 4 113.3 ათასი ლარი. აქედან აუდიტის ჯგუფს მუნიციპალიტეტმა წარუდგინა მხოლოდ 14 ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მასალები არ იძლევა მიმწოდებლების მიერ გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების სრულად დათვლის საშუალებას. ხელშეკრულებების იმ ნაწილში სადაც აუდიტის ჯგუფმა შეძლო მიმწოდებლის დანახარჯების დათვლა გამოვლინდა მნიშვნელოვანი სხვაობები შემსრულებლების ფაქტობრივ ხარჯსა და მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულ თანხებს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს მაღალი რისკი იმისა რომ 2012 წლის 1-ლი ივლისის შემდგომ გამარტივებული წესით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების სრულყოფილად შესწავლის შემთხვევაში გამოვლენილ იქნას მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებზე სხვა ზედმეტად

ანაზღაურებული თანხები, შესაბამისად საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

რეაბილიტირების შემდგომ ქეზოტას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები

2012 წელს თიანეთის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ეფექტთან“, რომელსაც უნდა განეხორციელებინა დაბაში ხაწირისა და ქეზოტის ქუჩების რეაბილიტაცია. სამუშაოები მოიცავდა აღნიშნულ ქუჩებზე გრუნტის საფარის მოსწორებას და მასზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობას. ხელშეკრულების ფარგლებში, ქეზოტის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ჯამში დაიხარჯა 64.7 ათასი ლარი.

ქეზოტის ქუჩის ადგილზე დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ რეაბილიტირებული გზის ასფალტის საფარის დაახლოებით 45% დაზიანებულია ქუჩაზე მიმდინარე სანიაღვრე სისტემის მშენებლობის გამო. სათანადო დაგეგმვის პირობებში მიზანშეწონილი იყო თავდაპირველად განეხორციელებინათ სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია და ამის შემდგომ მოეწყოთ ასფალტის საფარი. შედეგად, საჭირო არ გახდებოდა ქუჩის იმ ნაწილის რეაბილიტაცია, რომელიც მოასფალტდა 2012 წელს.

სოფელ საყდრიონის სპორტული დარბაზის მშენებლობა

2010 წელს თიანეთის მუნიციპალიტეტმა სოფელ საყდრიონის სპორტული დარბაზის ასაშენებლად ხელშეკრულება გააფორმა შპს „რაგოსთან“, ღირებულებით 130.2 ათასი ლარი. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში დარბაზის საბოლოო მიღება და შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდა 2011 წელს. შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ დაზიანებულია სპორტული დარბაზის ჭერი, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ელექტრო სისტემის

ნაწილობრივი დაზიანება, ასევე დაზიანებულია კედლები. იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებაში ჩადებული იყო გარანტირების მექანიზმი,⁸ მუნიციპალიტეტს უნდა გამოეყენებინა მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულება, მიემართა და მოეთხოვა მისგან აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრა, რაც არ განხორციელებულა. ასევე აღსანიშნავია, რომ აშენებულ სპორტულ დარბაზში ფანჯრების ადგილას მოწყობილია მინის ბლოკები.

ჩამოთვლილი ხარვეზების გათვალისწინებით, დარბაზი, რომლის მშენებლობისთვისაც მუნიციპალიტეტმა დახარჯა 130.2 ათასი ლარი, სრულად ვერ გამოიყენება დანიშნულებისამებრ, რასაც ადასტურებს 2012 წელს გამგებლის მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, აგრეთვე სპორტის სამინისტროებისთვის მიწერილი წერილი წერილში აღნიშნულია, რომ ჭერის დაზიანების, აგრეთვე იმის გამო, რომ დარბაზში არ იღება ფანჯრები, შეუძლებელია საყდრიონის დარბაზში სპორტული ღონისძიების ჩატარება.

სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის გადაცემული შიფერი

2013 წლის 6 ივნისს სტიქიის შედეგად დაზარალდა თიანეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი. შედეგების დასადგენად შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც სტიქიის მეორე დღესვე აღწერა მიყენებული ზარალი. კომისიის შეფასებით, ზარალმა ჯამში შეადგინა 1 030.8 ათასი ლარი. კერძოდ: განადგურდა 834.9 ათასი ლარის ღირებულების ნათესები, 135.4 ათასი ლარის - ინფრასტრუქტურული ობიექტები და 60.5 ათასი ლარის - საცხოვრებელი შენობების სახურავები.

2013 წლის 3 ივლისს, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, თიანეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 196.1 ათასი

⁸ ხელშეკრულებით, შენობის ვარგისიანობის გარანტია შეადგენს 35 წელს, ელექტრობის - 20 წელს, იატაკისა - 25-ს და შიდა სამღებრო სამუშაოები - 10 წელს.

ლარი. მთავრობის მიერ თანხის გამოყოფის შემდეგ, 2013 წლის 2 აგვისტოს, სალიკვიდაციო კომისიამ ხელმეორედ გადათვალა მოსახლეობისათვის სტიქიით მიყენებული ზარალი. ზიანის განმეორებითი შესწავლის შედეგად, დაზარალებული მოსახლეობისთვის გადასაცემი შიფერების რაოდენობა 4800 ერთეულიდან 7500 ერთეულამდე გაიზარდა. შესაბამისად, შენობა-ნაგებობებზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციო თანხა ნაცვლად 60.5 ათასი ლარისა, განისაზღვრა 126.0 ათას ლარით. აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტიდან ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერისი რწმუნება იმის შესახებ, იყო თუ არა აღნიშნული ცვლილება ობიექტური საჭიროებებით გამყარებული.

სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია

2012 წლის 30 ივლისს თიანეთის მუნიციპალიტეტმა შპს „ნოდოსთან“ გამარტივებული წესით გააფორმა ხელშეკრულება სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობაზე, ღირებულებით 53.8 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოები სრულად შეასრულა ქვეკონტრაქტორმა შპს „სერვის ცენტრმა“. სხვაობამ მიმწოდებელზე გადახდილ თანხასა და ქვეკონტრაქტორის მიერ მიღებულ ანაზღაურებას შორის შეადგინა 5.6 ათასი ლარი. შესაბამისად, შუალედური რგოლის გამოყენების გარეშე ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი დაზოგავდა 5.6 ათას ლარს.

ხის სახერხი დაზგის შეძენა-მონტაჟი

2013 წელს თიანეთის მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გააფორმა ხელშეკრულება⁹, ღირებულებით 4.7 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა ხის სახერხი დაზგის შეძენა-მონტაჟს. აღნიშნული ტექნიკის

⁹ 2013 წლის 18 დეკემბრის ხელშეკრულება №121/3 - ი/მ „ელგუჯა ზვიადაური“.

დამონტაჟების დაგეგმვისას მუნიციპალიტეტმა არ გაითვალისწინა ორი ძირითადი გარემოება:

1. სახერხი ტექნიკის დამონტაჟება მოხდა დასახლებული ტერიტორიიდან მოშორებით, სადაც არ არსებობდა ამ დაზგისათვის განკუთვნილი ელექტროსისტემა, დაერთებისათვის კი საჭირო იყო დამატებითი ხარჯები.
2. სახერხი დაზგის დამონტაჟება მოხდა დაუცველ ადგილას, შედეგად აქტივი გაიძარცვა მის ექსპლოატაციაში მიღებამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი 4.7 ათასი ლარის აქტივი უმოქმედო მდგომარეობაშია, ისე, რომ მოსახლეობას დანადგარით არც კი უსარგებლია.

სატრანსპორტო საშუალების შესყიდვა

2011 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში თიანეთის მუნიციპალიტეტმა შეიძინა 4.7 ათასი ლარის ღირებულების მიკროავტობუსი¹⁰, რომელიც მოსახლეობას უნდა გამოეყენებინა ადმინისტრაციულ ცენტრამდე გადასადგილებლად. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება მწყობრიდანაა გამოსული და ვერ ხერხდება მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება. ამრიგად, მიკროავტობუსის შეძენის მიზანი ვერ იქნა მიღწეული და 4.7 ათასი ლარის ღირებულების აქტივით მოსახლეობა რეალურად ვერ სარგებლობს.

¹⁰სოფელ შარახევისა და სოფელ ბუჭყინტისათვის.

წიკვლიაანთკარის წყალსადენის სათავე ნაგებობის სამუშაოები

2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, სოფელ წიკვლიაანთკარში განხორციელდა წყლის სისტემის რეაბილიტაცია, საერთო ღირებულებით 6.6 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ რეაბილიტირებული ქსელი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდებას. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მოწყობილმა მილებმა ვერ გაუძლო წყლის წნევას და მწყობრიდან გამოვიდა. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულია 6.6 ათასი ლარის ისეთი ხარჯი, რომლითაც სოფლის მოსახლეობა რეალურად ვერ სარგებლობს.

აღსანიშნავია, რომ სოფელ წიკვლიაანთკარის წყლის პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტს შესაბამისი შესყიდვის განხორციელება გათვალისწინებული აქვს 2014 წლის შესყიდვების გეგმაში, სავარაუდო ღირებულებით 20.2 ათასი ლარი.

სოფელ მაგრანეთის წყალი

2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა სოფელ მაგრანეთის წყლის სისტემის რეაბილიტაცია, რაზედაც საერთო ჯამში დაიხარჯა 11.1 ათასი ლარი. სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ რეაბილიტირებული ავზიდან (ე.წ. „ბასეინიდან“) გამომავალი ერთადერთი მილი არ იყო საკმარისი სიგრძის, რათა უზრუნველყოფს სოფლის მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება. შედეგად, რეაბილიტირებული სისტემა, რომელშიც გადახდილია 11.1 ათასი ლარი, მხოლოდ ერთ ოჯახს უზრუნველყოფს სასმელი წყლით.

ზარიძეების თემში ძველი წყლის სისტემის შეცვლა ახლით

2011-2013 წლებში ზარიძეების თემში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მთლიანობაში დაიხარჯა 16.1 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული წყლის სისტემა გაუქმდა 2014 წელს და მთლიანად შეიცვალა ახალი ერთიანი სისტემით, რომელიც ემსახურება თემს. იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ მოახერხა აღნიშნული წყლის სისტემის რეაბილიტაციის სათანადოდ დაგეგმვა, 16.1 ათასი ლარი დახარჯულია ისეთი სამუშაოების შესრულებაზე, რომლებიც რეალურად, დღეის მდგომარეობით, არ ფუნქციონირებს.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

სავარაუდო ღირებულების გაანგარიშების ხარვეზები

საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენების მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია საქონლის/მომსახურების შესყიდვის საწყის ეტაპზე ჩაატაროს ბაზრის კვლევა, რათა განსაზღვროს შესყიდვის ობიექტის შესაძლო რეალური საბაზრო ღირებულება და თავიდან აიცილოს საქონლის ან მომსახურების არაგონივრულად მაღალი ფასით შეძენა.

თიანეთის მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახურის უფროსის განმარტებით, რომელიც ეყრდნობა საპროექტო ფორმებიდან მიღებულ ინფორმაციას, ხარჯთაღრიცხვის მომზადების პროცესში მუნიციპალიტეტის გამგეობა პროექტის ავტორს წინასწარ აცნობებს, თუ რა თანხაა გამოყოფილი კონკრეტული სამუშაოების შესასრულებლად. შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვის შედგენა ხდება წინასწარ ცნობილი თანხის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვებში გაზრდილია ზოგიერთი საქონლის/მომსახურების ღირებულება, რათა მოხდეს წინასწარ განსაზღვრული თანხის სრულად ათვისება. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს

შემდეგი გარემოებები: იდენტური საქონლის ერთეულის ფასი სხვადასხვა ხარჯთაღრიცხვაში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე ობიექტზე შესრულებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვაში განსხვავებულია იდენტური საქონლის ფასები. მაგალითად: ერთი კვადრატული მეტრი წვრილმარცვლოვანი მკვრივი ასფალტბეტონის ფასი 2012-2013 წლებში მერყეობს 12.0 ლარიდან 17.16 ლარამდე, ხოლო ერთი კვ.მ 40 მმ-იანი ფრაქციული ღორღის ფასი - 0.9 ლარიდან 3.73 ლარამდე.

აღსანიშნავია, რომ თიანეთში არსებული კარიერიდან მუნიციპალიტეტის გამგებლისადმი მიწერილი წერილით ირკვევა, რომ ქვიშახრეშოვანი ნარევის ღირებულება 2011-2013 წლებში იცვლებოდა 1.8 ლარიდან 2.2 ლარამდე. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვებში 2012 წელს ხრეშის ღირებულება მერყეობს დაახლოებით 2 ლარიდან 17.5 ლარამდე, ხოლო 2013 წელს - 8.0 ლარიდან 10.0 ლარამდე.

№ 52 სპორტული დარბაზი

თიანეთის მუნიციპალიტეტმა 2009 წელს მოახდინა №52 სასპორტო სკოლის დარბაზის სრული რეაბილიტაცია¹¹. ვინაიდან დარბაზის მნიშვნელოვანი ნაწილი მწყობრიდან გამოვიდა და ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა სათანადო გარანტირების მექანიზმებს, საჭირო გახდა 2013 წელს მისი განმეორებით შეკეთება, რაზედაც დაიხარჯა 32.1 ათასი ლარი.

შპს „რაგოს“ და შპს „ეფექტის“ ურთიერთკავშირი

2011 წელს თიანეთის მუნიციპალიტეტში სამშენებლო სამუშაოების ნაწილს ასრულებს შპს „რაგო“, რომელსაც მთლიანობაში გაფორმებული აქვს 667.9 ათასი ლარის ხელშეკრულებები, რაც მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული

¹¹ ღირებულებით 182.7 ათასი ლარი

შესყიდვების 38,2%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ შპს „რაგოს“ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გაუფორმდა 255.7 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, რაც მთლიანად პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის 71,8%-ია.

შპს „რაგოს“ მიერ შესრულებული ყველა პროექტი, მათ შორის, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გაფორმებული ხელშეკრულებების საპროექტო სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაცია, შედგენილი აქვს შპს „ეფექტს“.

აღსანიშნავია, რომ შპს „ეფექტი“ 2005 წელს დაფუძნებულია შპს „რაგოს“ დამფუძნებლისა და დირექტორის, იურა პირველის მიერ, რომელმაც 2011 წლის 2 თებერვლის დამფუძნებელთა კრების ოქმის თანახმად, დათმო თავისი კუთვნილი წილი გიორგი ლაღიაშვილის სასარგებლოდ. რადგან იურა პირველი ადრე, წლების განმავლობაში იყო შპს „ეფექტის“ 100%-იანი წილის მფლობელი, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ აღნიშნული ფირმები არის ურთიერთდაკავშირებული და „ეფექტის“ მიერ პროექტის ხარჯთაღრიცხვის შედგენა ხდებოდა შპს „რაგოს“ ინტერესების გათვალისწინებით.

წარმომადგენლობითი ხარჯები

2011-2013 წლებში თიანეთის მუნიციპალიტეტმა წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლით დაახლოებით 25.0 ათასი ლარი გახარჯა სხვადასხვა საბანკეტო მომსახურების შესყიდვაზე. მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით უმჯობესია გამგეობის შესაბამისმა სამსახურებმა მათ ხელთ არსებული ფინანსური რესურსის განაწილების პროცესში ხარჯების დაგეგმვისას გაითვალისწინონ ის პრიორიტეტები რომელიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იქნება მიმართული.

სხვადასხვა ხარჯები

მუნიციპალიტეტის ხარჯების შესწავლით გამოვლინდა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის რამდენიმე შემთხვევა. მაგალითად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 5 შემთხვევაში გადახდილია კომპანია „სითი პარკის“ ჯარიმა, ასევე 200 ლარად შეძენილია პლანშეტური კომპიუტერის ჩასადები¹², გარდა ამისა გვხვდება ავტომობილის სალონის მოვლის სამუშაოების შესყიდვაც. მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნული ხარჯები არ შეესაბამება მისი საქმიანობის სფეროს. თიანეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით გამგეობის მიერ მსგავსი ხარჯების გაწევა არ არის მიზანშეწონილი.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, თიანეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2013 წლებში განხორციელებული სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

აუდიტორი:

მიხეილ ჩიქოვანი




ხელმოწერა 24.12.2019 თარიღი

¹² საშუალო ხარისხის მსგავსი ჩასადების ღირებულება იწყება 30 ლარიდან

აუდიტორი:

თამთა გელაშვილი



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

ნატალია სადარეიშვილი



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

ირაკლი კოხრეიძე



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი